თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №478
2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 დეკემბრის N 345 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2, მე-4 პუნქტების, ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 დეკემბრის №345 დადგენილებით (31.12.2021 წ., სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.157.016449) დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **გოჩა თედორაძე**

დანართი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა

	რანგი/კატეგორია	**თანამდებობა**	**საშტატო რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო**
		დაწესებულების ხელმძღვანელები		
	პოლიტიკური თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6560
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4960
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4320
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3520
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3200
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2560
		საკრებულოს აპარატი		
	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით	პირველადი სტრუქტურული ერთეულის		

	დასაქმებული/მაღალი მმართველობითი დონე	ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	4640
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	3680
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2720
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2560
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	2400
საორგანიზაციო განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	3680
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	2720
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	3	2560
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2400
	IV რანგის II კატეგორია	უმცროსი სპეციალისტი	1	1600